# წერითი დავალება

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **34.** დავალების ესა თუ ის მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ **ერთი-ორი** წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

***ნაშრომი, რომლის მოცულობაც 150 სიტყვას არ აღემატება, VIII, IX და X კრიტერიუმებით არ შეფასდება.***

## I კრიტერიუმი

| № | *დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული. | 3 |
| 2. | დავალების პირობაში დასმული პრობლემა ***ადეკვატურადაა*** გაგებული, მაგრამ არ არის გაანალიზებული მითითებული მხატვრული ნაწარმოები ან არ არის მსჯელობა პრობლემის აქტუალურობის შესახებ. | 2 |
| 3. | დავალების პირობა ნაწილობრივ ***არაადეკვატურადაა*** გაგებული | 1 |
| 4. | დავალების პირობა ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული. | **0**<br>**ნაწერი აღარ სწორ-დება** |

## II კრიტერიუმი

| № | *ნაშრომის აგება* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | ნაშრომის სტრუქტურა სრულად შეესაბამება დასმულ ამოცანას, ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, წარმოდგენილი მაგალითები არ არღვევს ტექსტის მთლიანობას, აბზა-ცები ***სწორადაა*** გამოყოფილი; დაცულია ციტირების წესი. | 2 |
| 2. | ნაშრომის სტრუქტურა შეესაბამება დასმულ ამოცანას, მონაკვეთები თანამიმ-დევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, წარმოდგენილი მაგალითები არ არღვევს ტექსტის მთლიანობას, მაგრამ აბზაცები ***სწორად არ არის*** გამოყოფი-ლი და/ან დაცული ***არ არის*** ციტირების წესი. | 1 |
| 3. | ნაშრომის სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ***დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა და/ან აბზაცები ***სწორად არ არის*** გამოყოფილი და დაცული ***არ არის*** ციტირების წესი. | 0 |

## III კრიტერიუმი

| № | *მხატვრული ტექსტის ანალიზი* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | მხატვრული ნაწარმოები ***ღრმადაა*** გააზრებული და გაანალიზებული, ***მკაფიოდ*** არის გამოკვეთილი დავალების პირობაში წარმოდგენილი პრობლემა. | 5 |
| 2. | მხატვრული ნაწარმოები ***კარგადაა*** გააზრებული და გაანალიზებული, მაგრამ ***მკაფიოდ არ არის*** გამოკვეთილი დავალების პირობაში წარმოდგენილი პრობლემა; ანდა მხატვრული ნაწარმოების ანალიზს სიღრმე აკლია, მაგრამ ***მკაფიოდ*** არის გამოკვეთილი დავალების პირობაში წარმოდგენილი პრობლემა. | 4 |
| 3. | მხატვრული ნაწარმოების შესახებ მსჯელობა ზოგადია და სათანადოდ არ არის გამყარება ტექსტური მასალით, დავალების პირობაში წარმოდგენილი პრობლემის ანალიზს დამაჯერებლობა აკლია. | 3 |
| 4. | მხატვრული ნაწარმოების შესახებ მსჯელობა ძალზე ზოგადია და არ არის გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი პრობლემა. | 2 |
| 5. | მხატვრული ნაწარმოების ანალიზი ზერელე და არადამაჯერებელია. | 1 |
| 6. | მხატვრული ნაწარმოები გაანალიზებული ***არ არის.*** | 0 |

## IV კრიტერიუმი

| № | *პრობლემის აქტუალობის დასაბუთება* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | მსჯელობა ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული და არგუმენტები ***გამყარებულია*** შესაფერისი მაგალითებით. | 5 |
| 2. | მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტაცია არასაკმარისია და მოხმობილ მაგალითებს ***დამაჯერებლობა აკლია.*** | 4 |
| 3. | მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტებს ***დამაჯე-რებლობა აკლია*** და ***არ არის გამყარებული*** შესაფერისი მაგალითებით. | 3 |
| 4. | მსჯელობა ***ზერელეა*** და არგუმენტები არადამაჯერებელია. | 2 |
| 5. | მსჯელობა ***ძალზე ზოგადია,*** არგუმენტები და/ან მაგალითები არაადეკვატურია. | 1 |
| 6. | მსჯელობა დასაბუთებული ***არ არის.*** | 0 |

## V კრიტერიუმი

| № | *ზოგადი განათლება* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, აბიტურიენტის ინფორმირებულობა და ერუდიცია. | 3 |
| 2. | ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, აბიტურიენტის ინფორმირებულობა და ერუდიცია. | 2 |
| 3. | ნაშრომში გამოვლინდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზერელე ცოდნა, არ ჩანს აბიტურიენტის სათანადო ინფორმირებულობა და ერუდიცია. | 1 |
| 4. | აბიტურიენტი ვერ ერკვევა განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემა-ტიკაში. | 0 |

## VI კრიტერიუმი

| № | *დამოუკიდებელი აზროვნება* | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა. | 3 |
| 2. | ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა. | 2 |
| 2. | ნაშრომში ***ძირითადად*** არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნე-ბის უნარი, თუმცა არის დასმული პრობლემისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის მცდელობა. | 1 |
| 3. | ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. | 0 |

## VII კრიტერიუმი

| № | ფაქტობრივი სიზუსტე | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | ნაშრომში არ არის ფაქტობრივი შეცდომა. | 2 |
| 2. | ნაშრომში დაშვებულია ერთი ფაქტობრივი შეცდომა. | 1 |
| 3. | ნაშრომში დაშვებულია ერთზე მეტი ფაქტობრივი შეცდომა. | 0 |

## VIII კრიტერიუმი

| № | ლექსიკა და სტილი | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, გვხვდება ორიოდე სტილისტიკური ხარვეზი. | 3 |
| 2. | ნაშრომში შერჩეულია დასმული ამოცანის შესაბამისი სტილი, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება; აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ადეკვატურადაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება რამდენიმე სტილისტიკური ხარვეზი. | 2 |
| 3. | ნაშრომის სტილი ნაწილობრივ შეესაბამება დასმულ ამოცანას, ცალკეულ შემთხვევებში დარღვეულია სტილის ერთგვაროვნება; აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტიკური ხარვეზები. | 1 |
| 4. | ნაშრომის სტილი მთლიანობაში არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, სტილისტიკურად გაუმართავია. | 0 |

## IX კრიტერიუმი

| № | მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა. | 5 |
| 2. | არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა. | 4 |
| 3. | არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა. | 3 |
| 4. | არ არის დაშვებული რვაზე მეტი შეცდომა. | 2 |
| 5. | არ არის დაშვებული ათზე მეტი შეცდომა. | 1 |
| 6. | დაშვებულია ათზე მეტი შეცდომა. | 0 |

## X კრიტერიუმი

| № | პუნქტუაცია | *ქულები* |
|---|---|---|
| 1. | არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა. | 3 |
| 2. | არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა. | 2 |
| 3. | არ არის დაშვებული ათზე მეტი შეცდომა. | 1 |
| 3. | დაშვებულია ათზე მეტი შეცდომა. | 0 |